პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ დეკემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482234176, 07/12/2022) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 29.08.34.064) რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (ს/კ 29.08.34.091, ცენტრალური პარკი) ნაწილის 1752.08 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 20 000 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 29.08.34.064) რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (ს/კ 29.08.34.091, ცენტრალური პარკი) ნაწილის 1752.08 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 20 000 ლარის ოდენობით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდე გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მოწვეული სპეციალისტი სნეჟანა ჯოლოხავა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე დ. დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482234176**
თარიღი: **07/12/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ ,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"-ა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების შესაბამისად დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით-იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობას N29.08.34.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკ. კოდი N29.08.34.091; ცენტრალური პარკი) ნაწილი 1752.08 კვ.მ. ფართზე, რაც შეადგენს 20 000 ლარს.

გთხოვთ, თქვენს შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

006189522

ექსპერტის დასკვნა № 006189522

გაფრთხილება

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37©-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

სტრუქტურა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა:

დასახელება:

თანამდებობა: მერი

მისამართი:

სახელი და გვარი: გენადი ბალანჩივაძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ავთანდილ ბურჯალიანი / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 12 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს სსტ ისო/იეკ 17024:2012/2014 GAC -PC-0010 შესაბამისობის სერტიფიკატი A-0922 და P-0527.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ. მოგვცეთ საექსპერტო დასკვნა წლიური საიჯარო ქირის ოდენობის შესახებ, შემდეგ უძრავ ქონებაზე:
-ქალაქ წყალტუბოში მდებარე N29.08.34.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ განთავსებული, ცენტრალური პარკის (საკ. კოდი N29.08.34.091) ნაწილი 1752,08 კვ.მ. მიწის ფართობი.
-ქალაქ წყალტუბოში მდებარე N29.08.34.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ განთავსებული, ცენტრალური პარკის (საკ. კოდი N29.08.34.091) ნაწილი 1216.08 კვ.მ. მიწის ფართობი.
-ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე N29.08.31.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2180 კვ.მ. მიწის ნაკვეთი „ბაკური".

შემოსვლის თარიღი: 03/08/2022 წ

გასვლის თარიღი: 09/09/2022 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქალაქ წყალტუბოში მდებარე N29.08.34.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ განთავსებული, ცენტრალური პარკის (ს/კ N29.08.34.091) ნაწილის - 1752,08 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 20000 ლარს.
ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქალაქ წყალტუბოში მდებარე N29.08.34.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ განთავსებული, ცენტრალური პარკის (ს/კ N29.08.34.091) ნაწილის - 1216,08 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 14000 ლარს.
ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე N29.08.31.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2180 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 25000 ლარს.